

— შეხედე ჩვენს დირექტორს, 8 მარტის აღსანიშ-
ნავად წინა რიგში უთმობს ადგილს თავის მოადგილეს..
— უკეთესი იქნება, სამსახურში დაუთმოს ად-
გილი..



ნახ. ჯ. ლოლოვიძე

რეზერვ

როგორც კი ოთახში შემოსული ზაზა დაინახა, კარლო კრიტიკულ-ბრაზუნით წამოხტა სკამიდან და ხელეზგაშლილი მიეგება.

მეგობრებს დიდი ხანია არ ენახათ ერთმანეთი, ამიტომ ეს ცოცხალი ხვეწნა-კოცნით გამოისყიდეს. მიკითხვ-მოკითხვისა და მცირე, უხერხული სიჩუმის შემდეგ ერთბაშად დაინტერესდნენ ერთმანეთის ოჯახური მდგომარეობით.

— დაცოლშვილი?
— ჯერ არა, — ზაზა რატომღაც გაწითლდა. — შენ?

— არც მე. — უბასუხა კარლომ და ოდნავ, ოდნავ გაფითრდა, თითქოს ოთახში სინათლემ იკლო. — ერთხელ კი მივალწვი ფინიშის ხაზს, მაგრამ სხვამ დაამსწრო.

— სხვამ ითხოვა?
— არა, არავის უთხოვია და არც არავის გაპყლია, მაგრამ, — კარლომ ასანთს გაპყრა და პაპიროსს მოუქიდა. — სხვა უნდა უყვარდეს.

ამ დროს კარი გაიღო და სათვალაანმა კაცმა შემოიხედა.

— პატივცემულო კარლო, დაგავიწყდათ? უკვე დაიწყო ფეხბურთის ტრანსლაცია, — მერე ზაზას გადახედა. — მიაგენით ხომ? აი, აქ არის სპორტის განყოფილება. — და კარი გაიხურა.

— ჩვენი ფოტოკორესპონდენტია, — თქვა კარლომ, მერე უცერად ჰკითხა ზაზას, — იცოდი, აქ რომ ვმუშაობდი?

— კი, — თავი დაუქნია ზაზამ, — კვითხულობ შენს წერალებს.

— აქამდე გენახე, ან დაგერეკა, ხომ თბილისში მსახურობ?

— თბილისში, — ზაზამ პიჯაკის ჯიბიდან გაკეცილი ქაღალდი ამოიღო და მიაწოდა, — პატარა

მასალა მოგიტანე გაზეთისათვის, იქნებ გამოგადგეთ.

— თუ სპორტულ თემაზეა, ვეცდები გამოსადეგი იყოს, — გაიღიმა კარლომ და მეგობარს ქაღალდი გამარათვა.

ზაზამ ზეპირად იცოდა თავისდ პატარა ინფორმაციის შინაარსი, ამიტომ ზეპირადვე იმეორებდა გულში, იმ ვარაუდით, რომ კარლოც იმავე სტრიქონებს კითხულობდა, სახეზე შესცქეროდა მეგობარს და ცდილობდა გამოეცნო მისი შთაბეჭდილება.

— ფეხსაცმელების ფაბრიკაში მუშაობ? — თავი არ აუღია, ისე ჰკითხა კარლომ, უცხო, ათრთოლებული ხმით.

— კი, ინჟინერ-ტექნოლოგად.
როდესაც კარლომ კითხვა დაამთავრა, წამოდგა, ფანჯარა გამოაღო, საყვით დაამაგრა, რომ არ მოხურულიყო.

„რა დაემართა?“ — გაიფიქრა ზაზამ, „თუ არ მოეწონა, მითხრას“. კარლო ერთბაშად შემობრუნდა, ისევე მაგიდას მიუჯდა, ზაზას მოეჩვენა, რომ ნაძალადევი იღიმებოდა.

— კრიტიკისა ხომ არ გეშინია?
— არა, — უბასუხა ზაზამ.

— საითქენა შენი ფაბრიკა?
— ნავთლულში, სადაც...

— თუ კრიტიკისა არ გეშინია, მაშინ უნდა გითხრა, რომ შენი წერილი ცოტა მშრალია.

— ეს ხომ უბრალო ინფორმაციაა, — შეედავა ზაზა, ტუჩებში პაპიროსი გაიჩქო და გადაიხარა, რომ კარლოს პაპიროსიდან მოეკიდებინა. „ხელი უკანკალღებს“, გაიფიქრა ზაზამ, და თითქოს იმ ხელმაც იგრძნო, მაგიდის უკან ჩაიმალა.

— ინფორმაციაა, მაგრამ სიმშრალე მაინც არ ვარგა. — განაგრძო კარლომ, — აი, შენ სწერ, რომ

ფეხსაცმელების ფაბრიკის მუშა-ფიზკულტურულ-მა მასობრივი ასევე მოაწყვეს ჯაზზეზე. მკითხველებისთვის კი საინტერესოა, როგორც შეაფასეს ამას, რა არის წარმატების მიზეზი. დაუმატე, ნუ დაიხარებ.

— არ მეზარება, მაგრამ ეგ რომ დაუწერო, თქვენი გაზეთი არ ეყოფა. ამას ვარადა...

— მოკლედ წერა უნდა მოახერხო... „ამას ვარადა?“ — რისი თქმა ვინდობა, ანიშნა კარლომ.

— ამას ვარადა, არც შენ და არც მკითხველი არ დაიჯერებს მიზეზს.

კარლომ თავი გაიქნია, არაფერი მესმისო.

— არავინ დაიჯერებს-მეთქი, რომ ფაბრიკის კოლექტივის სპორტული მიღწევები ერთი ლამაზი ქალის ბრალია.

— ქალის? როგორ თუ ქალის? — თითქოს მზად ჰქონდა ეს კითხვა კარლოს.

— ეჰ, რა წყნარად და უშფოთველად მიედინებოდა ჩვენი ფაბრიკის ცხოვრება, — განგებ არტიკულად წარმოთქვა ზაზამ, თავის კანტურითა და ისეთი სინანულით, რომელიც დიდ უბედურებას უფრო შეეფერებოდა. — ახლა კი ყველა თავგზაბრუნულით დიდის. შეჯობრება გამართული იმ ქალის გულის მისაგებად.

— ვინ ქალის? — მოუთმენლობა დაეტყო ზაზას.

— ჩვენი ფიზკულტურის ხელმძღვანელის...

სიჩუმე ჩამოვარდა. კარლოს, ეტყობა, რაღაცის თქმა უნდოდა, ალბათ, იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ ეთქვა.

— მერე... რა კავშირი აქვს ამ ამბავს ფაბრიკის სპორტულ მიღწევებთან? — იკითხა მან.

— თავს იბავშვებ? როგორც კი ჩვენს ფიზკულტურულ დარბაზში მზია გამოჩნდა, ყველამ სპორტსმენობაზე გამოიღო თავი, თურმე ამდენი ტრანტი გვეოლია და არ ვიცოდით, ზოგი ტანვარჯიშის სექციაში ჩაეწერა, ზოგი ალბინიზმისა. ვფიქრობდი, რამ გააგიჟა-მეთქი ეს ხალხი, მაგრამ როდესაც მზია ვნახე... ეჰ, როდესაც მზია ვნახე... ისეთი ქალია, ღმერთს მიწაზე ჩამოიყვანს.

— მერე, მერე? შენც მოგელო ცეცხლი? — ისევე ნაძალადევი გაიღიმა კარლომ.

— მომელო?... მეორე დღესვე ტანვარჯიშის სექციაში ჩაეწერე, მაგრამ უნიკო გამოვდექი. ორმაგად ვწითლდებოდი ჩვენი ფიზკულტურის ხელმძღვანელის წინაშე. ერთხელ ტაიქიდანაც ჩამოვარდი. ეს დღე არასოდეს დამავიწყდება. რადგან მაშინ გადავწყვიტე, უფრო ახლოს გამეცნო მზია, ვშიშობდი, ჩემს ღირსება-ნაკლოვანებაზე სპორტული უნიკობის მიხედვით არ ემსჯელა. მეცადინეობის დამთავრების შემდეგ განგებ დავტოვე დარბაზში ჩემი პაპიროსის კოლოფი. ათი წუთის შემდეგ დაებრუნდი. ყველა გასულიყო. მზიას სავარჯიშო კოსტიუმი გადაეცვა და ორძელზე ტრიალებდა. კინაღამ ჩავიკეცი, პირდაღებული შევეყურებდი მზიას ფოსფორივით აელვარებულ მკლავებსა და წვივებს. არ მეგონა, თუ შეიძლებოდა ასეთი ლამაზი ქალის არსებობა. ტრიალებდა და თითქოს ჰაერში რჩებოდა მისი სხეულის მოხაზულობა. ბოლოს დამინახა, ორძელიდან ჩამოხტა და...

— კიდევ აქა ხართ, ბატონო კარლო? უკვე ორით ნოლია მოსკოველთა სასარგებლოდ. — ეს გაზეთის ფოტოკორესპონდენტი იყო, დაღვრემილი იყურებოდა ღია კარიდან და, ალბათ, უკვირდა სპორტული განყოფილების გამგის სპორტული გულგრილობა, ხელი უიმედოდ ჩაიქნია და გავიდა.

— თუ გსურს წავიდეთ, მოვუსმინოთ, — შესთავაზა ზაზამ მეგობარს.

— არა, განაგრძე. — წარმოთქვა კარლომ და ზაზა უცნაურად შეათვალა, თითქოს უნდოდა მიხვედრილიყო, მოეწონებოდა თუ არა მზიას ეს ლამაზი ქაბუკი.

— ჰოდა, ბევრი რომ არ ვავაგრძელო... ზუსტად ერთი კვირის შემდეგ გამოუტყდი, რომ მიყვარს, გაგიგებთ მიყვარს. მისმენდა და ეცინებოდა: „თქვენ უკვე მეოთხე ხართ, ალბათ, დამცინით, ყველა რომ სიყვარულს მისწინით...“

— მეოღბე! — ისე წამოიძახა კარლომ, რომ მისი სახე არც შეკითხვას გამოხატავდა, არც დასტურს... უხერხული ღუმელის შემდეგ ზაზამ განაგრძო:

- აბა, შენ იცი, სასწრაფოდ გაღმელებთან გავარდი და უთხარი, რომ წელსაც სოცუმიზმობაში ვიწვევთ და მოემზადონ.
- ახე რა გაჩქარებს, იმ გლახებს რაღა შეჯობრება უნდათ?
- ბიჭო, გლახას რომ ვეჯობრებით, იმიტომაა ამდენი წელია გამარჯვებული გამოვდივართ, თორემ... ჩქარა! ჩქარა! შემოღურებმა არ მიგვასწრონი..

ნ. მალაზონიასი



საქმიანი უსაქმო



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხან ამაყია, ხან თავმდაბალი,
ხან სულ მორჩილი, ხანაც თავნება,
„საქმეში“ ისე უჭირავს თავი,
მართლაც საქმიან კაცს ეგვანება.

უფროსის მიმართ ტკბილი სიტყვები
არც დაეღვეა, არც ენანება.
თანამდებობით ბევრზე დიდია,
ამიტომ იცის დაგვიანება!

და სამსახურში მივა თუ არა...
ჯერ დაურეკავს „დობილ-ძმობილებს“,
ყურმილს აიღებს, ერთს ჩაახველებს,
თვის მობრძანებას სხვებს აგრძნობინებს.

„მაშ ასეთე, ზოგჯერ თქვენც გამიხსენეთ...“
და მოათავებს „ისეთ“ ასეთებს.
ლილაკს დააჭერს, მდივანს მოიხმობს
და მოიკითხავს ჟურნალ-გაზეთებს,

მსწრაფლ გადაავლებს თვალს სათაურებს,
სულ ხუთიოდე წუთს მოუნდება.
ყველაზე უფრო ქრონიკას ეძებს
და თუ იპოვა—აფუსფუსდება.

აფუსფუსდება... ო, ამ საქმეში
მეტად ჩქარი და არა გვიანი,
ნაცნობ „დიდ კაცთა“ გამოძებნაში
მიიწურება „დღე საქმიანი“...

რა ქნას, იგი ხომ „საქმის კაცია“,
„საქმისთვია“ გული ეწვის, ენთება,
ამდენ საქმიან უსაქმოებაში
ხვალ „საქმიანი“ დღე უთენდება!



— ველარა გცნობ, სოზაშვილო, ეს ორი დღეა სწორად გაქვს ამოხსნილი ამოცანები. რა მოხდა ასეთი შენს ცხოვრებაში?..

— მამა მივლინებაში წავიდა, პატრიცუმულ მასწავლებლო!

დ. ალაშიძე

— მოკლედ გეტყვი... ალბინისტთა ჯგუფში გადავწერე, მთელი გაზაფხულის განმავლობაში დავყავდი მზიას ქალაქგარეთ, ბოტანიკურ ბაღში, კომკავშირის ხეივანში, კოჯრისკენ. ვეასწავლიდა მთებზე სიარულის ანბანს, თოკისა, წრიაპებისა და წერაყინის ხმარებას. მერე გამოცდებიც დავეინიშნა. მე საქმიანი დამიწერა, მაგრამ მითხრა ყაზბეგზე ასვლას მაინც შესძლებო... სამაგიეროდ სიყვარულში უფრო მაღალ ნიშანს მოველოდი, და როცა კი შესაძლებელი იყო, კინოში, თეატრში თუ სეირნობისას, ვახსენებდი, რომ მე ველოდები ერთს იმ ორი სიტყვიდან, რომელიც შედარებით უფრო მოკლეა, მაგრამ სიცოცხლეს უგრძელესს შეყვარებულ ადამიანს. არც ერთი სიტყვა არ წამოცდენია მის ბაგეებს და ამ საილუმოებით მოცულმა ქალმა ყაზბეგის ძირამდე მიმიყვანა. გავხედე მთას და შევშინდი, იმ წუთშივე დავსაკვირნი, რომ მე იქ ამსვლელი არ ვიყავი, თავი მოვიავდემყოფე ისე ოსტატურად, რომ მეგონა, მზიამ ვერა ფერი შემატყო. ფაბრიკის ალბინისტების ერთი ჯგუფი ყაზბეგის დასაპყრობად დაიძრა. დანარჩენები შემდეგი დღისათვის აპირებდნენ ასვლას.

მე ისევე მწოლიარე დაუხუხედი გამარჯვებულებს. თავს ჩვენი ექიმი მადგა, რომელთანაც, რა თქმა უნდა, შეთანხმებული ვიყავი, რომ მზიასთან არაფერი დავდენოდა. სალამოს ჩემს ოთახში მზიასთან ერთად ახალგაზრდა სვანი ალბინისტი შემოვიდა, საერთოდ ის ხელმძღვანელობდა ყაზბეგზე ასვლას. ჩემი ჯანმრთელობა მოიკითხეს. მე, რასაკვირველია, „ძალიან ცუდად ვგრძნობდი თავს“. როდესაც სვანი ალბინისტი გავიდა, მზიამ მაჯაზე წამავლო ხელი და თვალები ეშმაკურად მომანათა.

„აბა, ადექი, ნუ ცრუობ, შე მშიშარა“. „არა. მზია, მართლა ავიდა ვარ, შენს თავს გეფიცები“, ვუთხარი მე „და ჩურჩულით დაუშმატე. „მხოლოდ შენ შეგიძლია ჩემი მორჩენა“. მზიამ სადაც, ოთახის ქერს მიიპყრო მზერა და თვითონაც ჩურჩულით თქვა: „იცი, რა? მე შენთვის წერილი დავწერე. წაიკითხე და... ვაიგებ ჩემს პასუხს“. „წერილი? მოკლეცი, მზია, ჩქარა მომეცი!“, ვიყვირე თავშეუკავებლად. „ჩუ“, თითი ტუჩზე დაიდო. „წერილი დავწერე, მაგრამ მწვერვალზე დამრჩა“. „სად მწვერვალზე?“. „ყაზბეგზე. ხვალ თუ ახვალ, ადვილად მიაგნებ“, და ოთახიდან გასრიალდა.

— გასრიალდა, არა?—რაღაც უცნაურად იკითხა კარლომ, მაგრამ ზაზას მისთვის ყურადღება არ მიუქცევია.

—მეორე დილას ჩიტვივით წამოვფრინდი. თვითონვე არ მჯეროდა რიუკზაკს რომ ვიკიდებდი ზურგზე, თოკი რომ გადამაბეს, აღმართს რომ აეყვი. ასვლას ის სვანი ალბინისტი ხელმძღვანელობდა. არ ვიცი მე თვითონ ავედი, შიშმა ამიტანა თუ ამხანაგებმა ამიყვანეს, მაგრამ ყაზბეგი კი დავიპყარ. ერთი სიტყვით, სიყვარული ავამაღლებსო რომ იტყვიან, სწორედ ისე დამემართა. მწვერვალს მივალწვივით თუ არა, სხვებისაგან მაღულად წერილს დავუწვე ძებნა. ამხანაგები გამარჯვების სიხარულით იყვნენ დამთვრალნი, ხელებს იქნევდნენ, ღრუბელს ელაპარაკებოდნენ, სიმღერაც სცადეს. მე კი გაფაციცებით ვეძებდი წერილს, მაგრამ ქალაქის მსგავსი ვერაფერი აღმოვაჩინე. უუცრად ჩვენი ფაბრიკის კონტროლიორი მომიახლოვდა, უცნაურად ილიმებოდა. „რას ეძებ? ამას ხომ

არ ეძებ?“ მითხრა. ხელში ქალაქის ფურცელი მომაჩეჩა და სიცილით გამშორდა.

— მზიას წერილი იყო. ანხანავს განოატანა. რომ მწვერვალზე ასვლისას შენთვის გადმოეცა.—თითქოს თავისთავი დაარწმუნაო კარლომ.

— ჰო, მზიას წერილი იყო. ვაგხსენი და იცი რა ეწერა?

— ვგვდები,—ტუჩზე იკბინა კარლომ.

— „ზაზა“, ასე იწყებოდა წერილი. „მომილოცავს ალბინისტის ნიშნოსნობა. გისურვებ შემდგომ წარმატებებს. მზია“.

— რაო?!—წამოიყვირა კარლომ და ერთბაშად წამოვლოდა.

— ჰო, ასე ეწერა დამცინა. ნომატყუა. გამატყუა.

— მართლა. ზაზა? მართლა. ჩემო ზაზა? ბიჭო. მართლად მეუბნები?—რაღაც მოვარდნილი სიხარულისაგან ხმა აუქვითინდა კარლოს და ზაზას კისერზე შემოხვია ხელები.

— რა დაგემართა?!—თითქოს იწყინა ზაზამ.

— რა დამემართა და მკვდარი გავცოცხლდი. მზია, ჩემი მზია... მაგრამ ვეჭვიანობდი. გიყვივით ვეჭვიანობდი და მასაც ვტანჯავდი.—ბუტბუტებდა კარლო, ზაზას ეალერსებოდა და აღარც კი ესმოდა ოთახში შემოსული სათვალისანი ფოტოკორესპონდენტის აღშფოთებული ლაპარაკი:

— ეს არის ოსტატობა. ბატონო კარლო? ასეთ საპასუხისმგებლო თამაშის წაგება შეიძლებოდა? მოდი და გამოასწორე ახლა შენი მდგომარეობა.

გალის რაიონისკომის თავმჯდომარე ხუტა თოფურია ღრმად ჩაფიქრებული უზის მაგიდას, ნერვიულობს, პაპიროსს საფერფლის ნაცვლად სამეღვინეში აქრობს. დაბნეულობა ეტყობა; ტელეფონის ყურმილს უჭუმბა იღებს, სასმენში ჯიუტად ჩასახის და მერე გაგულისებული კიდებს... რადიომიმღებზე. ეს მერამდენე დღეა კალენდრის დანახვაზე ჭირის ოფლი ასხამს. წელიწადი იღვეა და აქეთ ღმრთეული კამეჩები გაუხდა თავსაცემი, იქით—ხორცის დამზადების გეგმის შესრულება.

— მაინც რა გახდა ეს კამეჩები?—ბრაზობს ხ. თოფურია და მეთასვეჯერ უთვლის წყველას ბიბლიურ ნოეს. იმ ღმერთგამწყარალს თავის კიდობანში რომ არ შეეყვანა ზოზინა კამეჩი, ხომ გადარჩებოდა რაიონისკომის თავმჯდომარე ამ დაეიდარაბას! დროდადრო რადიომიმღები რომ დაიხუვლებს, ხუტას კამეჩის ბლავილად ეჩვენება და გაბრაზებული გამორთავს.

2200 სული კამეჩი ჰყავთ გალის კოლმეურნეობების ფერმებში. მოდიან და მოდიან რაიონისკომში ფერმის გამგეები და ყველას ერთი და იგივე აკერია პირზე:

— ფურაჟი გვაშოვნინეთ, კამეჩები შინაშლით გვეხოცება! რა ქნას რაიონისკომის თავმჯდომარემ? საქონლის საკვები ციდან ხომ არ ჩამოვარდება? შოვნა უნდა, დატრიალება, მისვლა-მოსვლა. და უცებ სახე ისე გაუნათდა ხუტას, მზად იყო არქიმედით წამოეძახა „ვერია!“ „ხორცის დამზადების გეგმა შეუსრულებელია, კამეჩები კი დამშეული, ბრძანებს გავცემ კამეჩები დამზადებას ჩააბარონ. ხორცის დამზადების გეგმა შესრულდება და კამეჩებიც აღარ იქნებიან... მშვიდი“. მოიფიქრა, გადაწყვიტა, საქმეს შეუდგა. და აწკარუნდა ტელეფონი.

— საჩქაროდ ჩააბარონ კოლმეურნეობებმა კამეჩები დამზადებას სახორცედ.

და აბლავლდნენ კამეჩები. ახლა უკვე აღარ აღიზიანებს ხ. თოფურიას ყურთასმენას კამეჩების ბლავილი. აბა, ერთი მუხრამე ბუინავას და სხვა კოლმეურნეთა გულშიც ჩაახედა; მათი საყვედურებიც გააგონა:

— გაზაფხულზე კამეჩებით ფერდობიან ადგილებს ეხნავთ, შემოდგომაზე მოსავალს ვეზიდებით ბელლებში.—ამბობს ერთი.

— კამეჩი ყოველთვის ჭირდება ჩვენებურ კაცს, ყველგან ტრაქტორი და ავტომანქანა არ მიუდგება.—უმბტებს მეორე.

რაიონისკომის თავმჯდომარეს ამ საყვედურების მოსმენაც არ სურს. ვინ გაიგებს ასე იოლად მისი მრავალმნიშვნელოვანი გადაწყვეტილების აზრს. ასეა საჭირო, მორჩა და გათავდა.

— 130 კამეჩიდან 60-ლა ღამრჩა,—გულისტკივილით ამბობს სოფ. ოტობაიას კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. ზამთარია.

— მე კი 24 ფურკამეჩიდან ერთი ზაქი ძლივს შევიწარჩუნე,—დასძენს სოფ. განახლების კოლმეურნეობის თავმჯდომარე ს. ელიავა.

მტს-ის მთავარი ზოოტექნიკოსი ს. ბიბილაია პროტესტს წერს: „მავნე ტენდენციად ვთვლი კამეჩების მასობრივად ჩაბარებას სახორცედ“...

რაიონისკომის თავმჯდომარე კაბინეტში მშვიდად ზის, პაპიროსს საფერფლეზე აქრობს, ტელეფონის ყურმილს დინჯად იღებს, მოკლედ იმეორებს ბრძანებას და ჰკიდებს. კალენდარი ახლა აღარ მოქმედებს მის ნერვებზე. ხუმრობა ხომ არ არის, კაცმა ერთი ბრძანების გასროლით ორი კურდღელი... ორი კურდღელი რაა, ასობით კამეჩი საიქიოს გაისტუმრო!

ეპ, რა ქნან საბრალო კამეჩებმა!..

8. ბალდავაძე

კურდღლის სული

დირექტორმა გაოცებით გადახედა თანამშრომლებს, მზერა ქარხნის ექთანზე, მარიაზე შეაჩერა. მერე თამარს მიუბრუნდა და დაყვავებით უთხრა:

— რატომ ჭირვეულობთ, თამარ? აი, ჩვენი მარიაში ამბობს, რომ სიცხე ვაქვთ, ესე იგი ავად ხართ...

— არ ვარ ავად!—ბავშვით გაჯიუტდა თამარი.—არ წავალ სახლში!

— წახვალთ სახლში, ნამდვილად წახვალთ!—მოთმინებით იტანდა დირექტორი თანამშრომლის სიჯიუტეს.—ექიმს გამოუძახეთ, ბიულეტენს მოგცემთ.

— არ მინდა ბიულეტენი, ფეხზე მოვიხდი ავადმყოფობას,—უფრო გაჭირვეულდა თამარი.

— მარეამ ჩემო, —ჩასჩურჩულა გაოცებულმა დირექტორმა ექთანს, —იქნებ შეცდი, იქნებ თამარს 37 კი არა, მეტიც აქვს სიცხე; ორმოცი, ან ორმოცდაერთი?! ბიჭკოს დამიძახე, მანქანა გამოიყვანოს და ავადმყოფი ახლავე სახლში წაიყვანეთ. შენც წაჰყვი, ექიმშიც შენვე გამოიძახე. საოცარი ამბავია. რატომ გაურბის ასე ექიმს?!

თამარი კიდევ დიდხანს ჭირვეულობდა, მაგრამ უკვე აღარაფერმა გასჭრა—ძალით წაიყვანეს სახლში. მარიაშმა ლოგინი დაუგო, ღუმელი დაანთო, სახელდახელოდ რალაც წამლები დააღვეინა და ექიმთან გაიჭრა.

...ქარხანაში უკვე ღამის ცვლა იწყებდა მუშაობას, როცა სახელეწილი მარიაში დირექტორთან შევიდა.

— ამხანაგო, ვექტორ, მგონი სიცხე მაქვს, ხვალ იქნებ სამუდაოდ ვერ მოვიდგე.

— როგორ? ღუ სიცხე? თამარი რა უყავ? იმისგან ხომ არ გადაგედო?—დააყვრა კითხვები დირექტორმა.

— არა, არა. ეს მინდორში სიარულმა მიყო, ალბათ გავცივდი. დირექტორი კითხვის ნიშანივით მოიხარა, ვერ მიმხეობარყო, რა შუაში იყო აქ მინდორი. მარიაში შეეცადა აეხსნა, თაბ მძიმედ სუნთქავდა.

გავიდა თუ არა მარიაში თამარის სახლიდან, რომელიც ბორნის ქუჩაზე მდებარეობს, მაშინვე გადაჭრა ახალი ხიდი და პოლიკლინიკისაკენ გასწვია. პოლიკლინიკა იქვე, სახლიდან ხუთი თუ შვიდი წუთის სავალზე იყო. ეს ვახლათ მე-3 პოლიკლინიკა, ბრძოლის

ქუჩის დასასრულში. როგორ გაოცდა მარიაში, როცა პოლიკლინიკის რეგისტრატორმა უკან გადმოუგდო თამარის პასპორტი,—ამ ქალს ჩვენი ექიმი ვერ მოემსახურებაო.

— მაშ ვინ უნდა მოემსახუროს?

მარიაშმ ხელით ანიშნეს: იქით, იქით არის მავათი ექიმიო. მოცდის დრო არ იყო, მარიაშმა სწრაფად გასწვია ნაჩვენები მიმართულებით და როგორ გაოცდა, როცა ნახა, რომ ქალქს გასცილებოდა. მიმოიხედა. ირგვლივ მინდორი იყო. ვილაც კოლმეურნე შენიშნა, პოლიკლინიკა ჰკითხა.

— პოლიკლინიკა არ ვიცი, შვილო, და თუ ჩვენი ექიმი გინდა, ესე წადი.

იარა მარიაშმა, იარა, ცხრა მინდორი გადაიარა, ცხრა ველი, გზად ხალხი ხვდებოდა, ეკითხებოდა, ისინი ხელს იშვერდნენ და ეუბნებოდნენ—ესე წადიო. იარა მარიაშმა და გათოშოლ-გაყინული, ლაფში ამოსვრილი მიადგა სოფ. დიღმის ერთ პატარა სახლს. აქ არის თქვენი ექიმიო, უთხრეს. მაგრამ როგორ გაოცდა მარიაში, როცა ექიმი დავით მარინაშვილი საექიმო პუნქტში არ აღმოჩნდა. ჩვენი დავითი უბანში 2000 კომლს ემსახურება, დღე-ღამე თავს დაგვტრიალებს და, რა ვიციო, ახლა ვისთან იქნებაო, აუხსნეს მას. უცადა მარიაშმა ექიმ მარინაშვილს და მხოლოდ საღამოს მოჰგვარა თამარს სახლში. მას კი ამასობაში ოფლი მოსვლოდა და მომჯობინება ეტყობოდა.

— ასე იყო, პატივცემულო დირექტორო, —დაამთავრა თამარმა თხრობა, —ამიტომ არ უნდოდა ჩვენს თამარს ექიმის გამოძახება, ამიტომ ამბობდა უარს ბიულეტენზე. თამარი ხომ მარტოდ ცხოვრობს, ვინ დაესაქმება?! ამ დღეში თამარის მეზობლად მცხოვრები ოთხმოცამდე კომლი: ექიმი, როგორც ხედავთ, დიღმის საექიმო პუნქტიდან მოჰყავთ, წყლის ფულს ორჯონიკიძის რაიონს უხდიან, სინათლის ფულს კი სტალინის რაიონს...

— ა?!—გაოცებით აღმოხდა დირექტორს, მაგრამ ეს გაოცებული „ა“ იმდენად სუსტად მოუვიდა, რომ მის გამოძახილს არც ჯანმრთელობის სამინისტრომდე მიუღწევია და არც იმ დაწესებულებამდე, სადაც სინათლისა და წყლის ფულის გადახდის საკითხი ვერ მოუწესრიგებიათ. ამიტომ იქ ჯერჯერობით არ გაოცებულან.

8. ჯამბაყური



გრაგვიკული სავაჯიშო

I. არსებითი სახელის ბრუნება


ა) უკანასკნელი კლასის პროზაიკებისათვის

- შვილი რაღაცას წერდა ჩვეულში. ჩაგხედე და შეცდომა აღმოვაჩინე.
- შვილო, პატარა ხომ აღარა ხარ, ასეთი შეცდომა აღარ გეპატიება-მეთქი, ვუთხარი ტკბილად.
- შვილმა დამცინავად ამომხედა:—მამაჩემო, არც შენა ხარ პატარა, ეს წინადადება შენი მოთხრობიდან ამოვიწერეო.
- შვილს ყური ისე მაგრად აფუწიე, რომ ყველა კრიტიკოსის ჯავრი ერთბაშად ვიყარე:
- შვილად მიმაჩნდი და, აწი ჩემი სახელი აღარ ახსენო-მეთქი, ვუთხარი მკაცრად, რომ დანაშაულის მთელი სიმძიმე ეგრძნო. სიმწრისაგან ატირდა:
- შვილის კრიტიკის რატომ გეშინია, შენ ხომ ჩემი მამა ხარ, მე ხომ არსად ვიტყვი და დაბეჭდვითაც ვერსად დაგბეჭდავო.
- შვილით ვამაყობდი და იმ დღიდან უფრო ვამაყობ, რადგან ასეთი ტყვიანი და მოსაზრებულია.

ბ) ხნიერი ასპირანტებისათვის

- კაცო პროფესორია, ყველა პატივისცემით ეპყრობა, მაგრამ ბევრმა არ იცის მისი უსირცხვილო თავის ამბავი; მხედება ერთხელ ქუჩაში და მეუბნება: „კაცო, აქამდის არ დაგიცავს დისერტაცია? რას უტყვი, დაბერდი უკვე, ჩემო ძამია!“
- კაცმა რომ თქვას, შრომებშიაც გეკუთვნის ხარისხი, მაგრამ რა გენაღვლება,
- კაცს გეძახიან, გაფასებენ, ხარისხსაც მოიპოვებ და კარგ ჯამაგირსაც, თორემ ამდენს შრომობ, შრომობ და შედეგი არ ჩანს:
- კაცად აღარ ვარგახარ,
- კაცის ფერი არ გადევსო“.
- კაცით გაბოროტებული არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ მაშინ სისხლი მომაწვა: როგორ დავიცავდი ხარისხს, როდესაც ჩემი სადისერტაციო შრომა ასანთის კოლოფით მიითვისა და ველარაფრით დავემტკიცე, რომ ჩემგან ჰქონდა წაღებული.

საქართველოს საზოგადოებრივი განათლების მინისტრის განკარგულებაშია



მართკალურად:

- 1—ავადმყოფობა, რომელსაც «პრიმა» აჩენს.
- 2—ზოგიერთ დირექტორს რომ საკუთარი სახლი ჰქონია.
- 3—ბოლოკზე მწარე.
- 4—უსაქმურების პლაცდარმი თბილისში.
- 5—ცნობილი სისხლისმღვრელი...
- 6—ნოემ ძლივს გადაარჩინა, ზოგიერთი ფერმის გამგე კი გადაშენებას უპირებს.
- 7—გადასახადი. უმთავრესად მამაკაცთათვის.
- 8—მანქანა, რომელიც იმდენს არ წერს, რამდენსაც მიაწერენ.
- 16—ყველაზე ბინძური მდინარე თბილისში.
- 18—გემრიელი, ფაფხურა და ამაყი ფრინველი.
- 19—სანამ დაუდები ოთხფეხაა, მერე შეიძლება უფეხო გახდეს.
- 20—რაც ამ კროსგორდის კიბვის დროს არა გაქვთ.
- 21—კენგურუს აქვს და ზოგ მოწაფეს კი არა.
- 22—ნიჭიერების საზომი, მელოტებს რომ კეფამდე აქვთ.
- 24—რა ხელსაწყოთი გაატყუებს ზოგიერთი გამყიდველი? 25—ხანდახან კონცერტს ხვობია.
- 28—მასწავლებლის სასროლი იარაღი.
- 29—ზოგიერთ კრებასა ჰგავს.
- 30—თუ არ გადაამალაშებთ, ყველაფერს უხდება.
- 31—მდინარე, ჩრდილოეთით ლოვან ოკეანეს რომ ერთვის.
- 32—შოფრებს მოსდით ხშირად, წერილი არ არის.
- 33—უფულოდ სარგებლობის არცთუ სახარბიელო ფორმა.

ჰორიზონტალურად:

- 9—თრი რომ ესხმის და ერთი იცავს.
- 10—ქალის კვილის რომ ეძახიან ოპერაში.
- 11—სპექულანტების შიშის ზარი.
- 12—ცაში ქუხილს უსწრებს, დედამიწაზე—დაკრძალვასაც ვერა.
- 13—გემის შემსრულებელთა ქებისა და გინების საზღვარი პროცენტებში.
- 14—ზოგიერთი კრიტიკოსივით ცაშია ასული და ბევრს აშაფებს.
- 15—ზოოლოგიაში გედების ოჯახს ეკუთვნის, კოლმეურნეობაში—ფერმის გამგისას.
- 16—სტანდარტული პასუხი, რომელსაც ძილშიც დაუფიქრებლად მოგიგებთ სახლმმართველი.
- 17—ციფრი, რისი მიწერაც ერთს ათად აქცევს, კაცს—არაფრად.
- 23—დაქორწინებას რომ მოსდევს.
- 26—სიტყვა, მოლარეს რომ ვუტოვებთ ხურდასთან ერთად.
- 27—ორი გამრავლებული ორზე, მიმატებული თერთმეტი, გაყოფილი სამზე, გამოკლებული ერთი.
- 30—სანადიროდ გამოიყენება, ზოგჯერ ადამიანებიც უგებენ ერთმანეთს.
- 34—ქუძუმწოვარა შინაური ცხოველი.
- 35—გამოცდები არა აქვს და მაინც იჭრება.
- 36—სპექტაკლის დამთავრებამდე რომ გარდერობთან იჭიმება.
- 37—სანადირო თოფის სახე. ზოგი ადამიანივით ორპირა როდია.
- 38—ქართველ კომპოზიტორებს რომ არ გამოუდით, 39—ხმები დარბაზიდან, გაუთავებელი მოხსენების დროს.


(პასუხი იხ. მე-7 გვერდზე).

ერთ სკოლაში


ნახ. გ. ფირცხალავასი



მშობელთა კრებაზე და...



კრების შემდეგ



ორი მკვიდრი მეგობარი:
თმათური და თმაჭალარა.
რომ იცოდეთ ჩვენი სკოლის
ნახვამ როგორ გაგვახარა!



სულ სხვადანსხვა დროს ვუსხედით
ჩვენ ამ სკოლის დაბალ მერხებს,
წელს კი წელთა განსხვავება
არც გვეჩნევა, არც გვაფერხებს...

როცა სკოლა ერთად ვნახეთ,
გულიც ერთხმად გაყმაწვილდა:
მე ოცდაცხრა მოგიკელი,
ის ოცდაათს გადასცილდა.

შორი მხრიდან მოსულივით
ვჩანდით სკოლის პატარებთან,
ძველს და ახალს მომღიშარი
თვალი ჩუმად ადარებდა.

ჩვენი კლასის ყურე კუთხეში
ისევ ისე იდგა დაფა.—
სწორკუთხედის ხაზვით ხელი
ერთდროს ჩვენ რომ გაგვიწავა!



უკანასკნელ წუთს ითვლიდა
კვლავ მეხუთე გაკვეთილი
და ზარის ხმის გასაგონად
პქონდათ ყური აცქვეტილი!

ზარის ხმაზე მეტად, მგონი,
ჩვენი მისულა გაუხარდათ,
ისე ერთხმად მოგვეგებნენ,
წამოფრინდნენ ისე მარდათ!

მათ ხომ თვალს ვერ გაუსწორებ
და ვერც განზე გაეცლები,
გიკვირს: ირგვლივ თვალებშია,
თუ მფრინავი ნაპერწკლები!

გავუღიმეთ—გაეღიმათ,
შუქზე შუქი მოგვაშუქეს, —
ჩვენც მრავალი რამ ვუამბეთ
ჩვენზე მკვირცხლად მობასუხეს...

მაგრამ ცეცხლად რომ აენთო,
მათებრ ვერ აბრიალდები, —
ფრიადებით დაგვიფარეს
ომამდელი ფრიადები!



და როდესაც ყველა ერთად
წუთს მეტადრე აფასებდა,
როცა ერთად საზეპირო
ლექსებიც კი გაგვახსენდა,

უნებლიედ თვალში მომხვდა
ბიჭი კოხტად აქოჩრილი,
მისი მერხის ვიწრო ფიცარს
გული აჩნდა ამოჭრილი!

გულს კი ჭრიდა ისრის წვერი,
ხოლო ისრის გასწვრივ—«ნანა»...
ო, იმ დანის კვალი ნეტავ
არ მენახა... დამენანა!

შედა ჩემი მეგობარიც
ამ ქოჩორა ბიჭის წინა.
მაგრამ წყნით შეკრულ წარბებს
ბიჭმა მხოლოდ შემოსცინა:

«—ღიახ, ჩემი შემრცხვენილი
არის ვილაც, ჩემი კბილა,
თუმცა მერხი ჩვენს მოსვლამდე
ბევრჯერ უკვე შელებილა.

ბევრჯერ სცადეს, მაგრამ, ჭრილი
ველარც კუბრით გააშავეს
და მუდამდღე მოგვაგონებს
ჩვენთვის უცნობ დამნაშავეს!»

რას ვეტყვოდით... საყვედური
მკვირცხლი სიტყვით აიცილინა.
და ღიმილით გვაგონებდა
ის ყმაწვილი და ის დილა.

შინ დავბრუნდით, სიხარულით
გვიბრწყინავდა ისევ თვალი.
დრო გავიდა. სინანულმაც
ვერ წაშალა დანის კვალი.

და თმათური მეგობარი,
ისე როგორც თმაჭალარა,
ერთმანეთის ნახვამ ერთხელ
როცა ისევ გაგვახარა,

როცა ლამაზ მთების გულში
შორს, მანქანა მიგვაფრწნდა
თბილისიდან—კომსკეპივით
ცად ამართულ წინაბრებთან

მიგვაფრენდა სიყმაწვილის
დროინდელი სიყვარული,
ძველი გზებით ძველი ტაძრის
კარებამდე მიგვაღული,

სადაც ქართულ ზუქურთმებით
მოქარგული ლოდებია,
სადაც თვალის შესაკრთომად
მტერსაც არ ელოდებოან...

სწორედ ჩემი სოფლის ბოლოს,
სწორედ მწვანე მთების მაღლა,
სადაც მკერდი ციხე-კოშკის
მიუვალი არის ახლა,

კვლავ წარწერამ გავგაოცა!—
ყველგან, სადაც მიგვეწვდა მზერა,—
ყველგან გამვლელ-გამომვლელი
ცდილა გვარი წაეწერა...

და მე კოშკის ფიქალზედაც
დავინახე დანის კვალი:
ისრისა და გულის გასწვრივ
ისევ «ნანა»-ს შეხვდა თვალი!

— დახე!—მითხრა მეგობარმა,—
თავი როგორ ყვარებით,—
ჩუქურთმებზეც წელთაღრიცხვით
მიწერილი გვარებია!

ჩვენი მთების სურათების
შეხედვაც კი არ გვაცალეს,—
უაზრო და უადგილო
წარწერებით გაგვაწვალეს!

და თმათური მეგობარი
მომაკერდა ფარულ სევდით:
— შენ რას იტყვი, ხელთ რომ მოგხვდეს
ყველას ყურს არ აუწევდი?

დავეთანხმე. ვთხოვე თანაც:
— აქვე ჩემი სოფელია,
შევიაროთ, ალაღებდად,
გულის გამართობელია...

შევიარეთ. და მე ახლაც
ვნანობ რისთვის შევთავაზე,—
იგი სწორედ ცაცხვის ჩრდილქვეშ
გადმოვიდა შეტევაზე.

ცაში უცებ გაიფანტა
ზმირ ფოთლების ჩერო გრილი:
ისევ გული დავინახე
ცაცხვის ტოტზე ამოჭრილი,

დამეფარა მსურდა მკლავით,
მაგრამ თვალი მიატანა —
ტოტი რაა, თვით ჩემს მაჯას
ნაბეჭდვით აჩნდა «ნანა»...

ვაი, ჩემო სიყმაწვილევ,
რა სიმკაცრით გამაშავე
ათეული წლების შემდეგ
თმაჭალარა დამნაშავე!

გახსოვს მაინც? თუ დაკარგე
თქვი, ის გული და ისარი?
გახსოვს? როდის დაივიწყე
და ან როდის გაიცანი?

დავინებით რად აწერდი.
მაჯას, როგორც დასაფიცარს,
ცად ამართულ კოშკის კედელს,
ცაცხვის ხეს თუ მერხის ფიცარს!

გახსოვს ნანა? შეაფეთე
მოგონების ჩრდილი—ჩრდილებს—
შეხვდი. ამბით გაუხარებ
თმახუტუტა შვილიშვილებს!

იქნებ მასაც ავონდები,
დადის და თმებდათოვლილი
ხედავს მისი გულისათვის
რა ჭირი გაქვს გამოვლილი...

ვერ გაქვს დანაშაულს.
რა ვქნათ, აბა, რად აწერდი —
ათასი რომ წაიშალოს,
არ დაგინდობს ათას ერთი!



ნახ. ელისო მახაფვილისა



სვილი და ბებია

შესაფერი მორთულობა ვერ იყიდა ბებია, რადგან ყველა მაღაზიას მხოლოდ სტანდარტები აქვს. მიტომაა ფერად სტილზე რომ მორთულან სრულიად, — ეს ბებიკოც, ის ბებიკოც უკვე სტანდარტულია!

ნაქროღი

საქართველოს თეატრალური საზოგადოება მწუხარებით იუწყება, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ერთ-ერთი ახალი კომედი.

როგორც სამედიცინო დასკვნიდან ირკვევა, მას თავიდანვე ემჩნეოდა სიუჟეტური ჩონჩხის სისუსტე მარილის ნაკლოვანების გამო, რამაც გამოიწვია მონოლოგებში სისხლის გათვრება და აშკარა გახდა „ხალტურუსის“ ნიშნები. მეორე მოქმედებაში ავადმყოფობის გართულებამ გამოიწვია კონფლიქტის კრიზისი და ექსპოზიციის სკლეროზი, რასაც თანდათან მოჰყვა ფინალის დამბლა და სიკვდილი. მიუხედავად სუსტი ჯანმრთელობისა, იგი მაინც ვაჟკაცურად უძალიანდებოდა აღმფრთხილებელი მკურნალების გულისწყრომას. უმწიკვლო მუშაობისათვის დაჯილდოებული იყო ორი დადებითი რეცენზიით. მისი დაუვიწყარი სახელი დიდხანს დარჩება ავტორის დაზარალებულ ოჯახში.

გულმოდკულ დამდგამელთა ჯგუფი

თბილისის მოყვარულთა საყუარლეაო!

გასტრონომ №-ის დირექცია აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

1. სექციონერის ორი ადგილი ხორცეულობის განყოფილებაში. მიიღებინ სამედიცინო ინსტიტუტის კურსდამთავრებულები ძირსაზიშული განსარი.
2. სამი ადგილი ალკოჰოლიანი სასმელების განყოფილებაში. მიიღებინ დამწყები კომპები.

კონკურსზე საბუთების წარმოდგენის უკანასკნელი ვადაა 15 მაისი. პირობების დაწვრილებით გაგება შეიძლება გასტრონომის დირექტორის ინჟინერ-გეოლოგ გ. თბილისაძის კაბინეტში.

პასუხები კოსპორღა

ვერტიკალურად:

- 1—ასტმა, 2—კაბინეტი, 3—მღოვვი, 4—„ზემელი“, 5—დალაქი, 6—კამეჩი, 7—ალიმენტი, 8—ტაქსი, 16—მტკვარი, 18—ინდაური, 19—სკამი, 20—საქმე, 21—ჩანთა, 22—შუბლი, 24—სასწორით, 25—პროგრამა, 28—ცარცი, 29—ბაზარი, 30—მარილი, 31—ენისეი, 32—ავარია, 33—ნიხია.

ჰორიზონტალურად:

- 9—დისერტაცია, 10—სოპრანო, 11—მილიცია, 12—ელვა, 13—ასი, 14—მზე, 15—იხვი, 16—მალე, 17—ნული, 23—განქორწინება, 26—იუბ, 27—ოთხი, 30—მახე, 34—ხბო, 35—რძე, 36—რიგი, 37—ცალპირა, 38—რომანსი, 39—რეგლამენტი.

ნახ. ჯ. ლოლუასი



ექიმი: ერთი... ორი... სამი... არა გიშავთ-რა, პულსი სავსებით ნორმალურია.

ავადმყოფი: მარჯვენა ხელზე გამისინჯეთ, ექიმო, მარცხენა პროთეზია.

ნახ. გ. ფირცხალავასი



ჯერ შენ დალიე, შვილო, წყალი უმცროსისაა.

რედაქტორი—ვახტანგ ჭელიძე.


სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, თ. გიგინეიშვილი, ვ. თორდუა, კ. ლორთქიფანიძე, ს. ფაშალიშვილი, გ. ჯაში.

თბილისი. სატირიკო-იუმორისტისკი ჟურნალი «ნიანგი». რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 3-10-49.

გამომც. № 5, ხელმოწ. დასაბ. 14/III-1956 წ. ქალ. ზომა 70 x 108 1/8, 0,5, ნაბ. ფურც. 1,37. ფერადი ბეჭდვის სტამბა, მარჯანიშვილის ქ. № 5. შეკვ. № 294. უფ. 00562 ტირ. 25.000.

„სამხედრო ხარჯები ამერიკის შეერთებული შტატების ერთ სულ მოსახლეზე 1913/14 საბიუჯეტო წელს შეადგენდა სამნახევარ დოლარს, 1929/30 წელს— 7 დოლარს, 1954/55 წელს—250 დოლარს, ესე იგი ამ ხანში გადიდა 70-ჯერ და მეტად.“

(ამხანაგ ნ. ს. ხრუჭიშვილის საანგარიშო მოხსენებიდან).



1954/55 საბიუჯეტო წელი

თვალსაჩინო დიაგრამა

1913/14 საბიუჯეტო წელი

1929/30 საბიუჯეტო წელი



250 დოლარი